

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი №1

2017 წლის 27 ნოემბერი

ზუგდიდი

სხდომას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ფარცვანია კახაბერ; შენგელია გიორგი; ჩემია მათა; ბულია ნინო; გვილია იაროსლავ; ბეჭვანია ხათუნა; დაგარგულია მამუკა; ხუფაცარია ნანა

დღის წესრიგი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კომისიის თავმჯდომარის და კომისიის მდივნის არჩევა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა.

სხდომა გახსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის იურისტმა ნათია ჩიტაიამ, რომელმაც ისაუბრა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნაზე. საბჭოს წევრებს გააცნო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება. დებულებიდან გამომდინარე ნათია ჩიტაიამ საბჭოს წევრებს მოუწოდა დაესახელებინათ საბჭოს თავმჯდომარე.

აზრი გამოთქვას: ხათუნა ბეჭვანია, მამუკა დაგარგულია და მათა ჩემია.

დასახალეული იქნა ერთი კანდიდატი კახაბერ ფარცვანია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

გაიმართა ფარული კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები დადებითი-8 ხმა

დადგინდეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კახაბერ ფარცვანია.

კახაბერ ფარცვანიამ გააცნო საბჭოს წევრებს, დებულების ის ნაწილი, რომლის საფუძველზეც აუცილებელია საბჭოს მდივნის არჩევა

აზრი გამოთქვას: იაროსლავ გვილიამ, კახაბერ ფარცვანიამ და მათა ჩემია

საბჭოს მდივნად დასახელდა ერთი კანდიდატი ხათუნა ბეჭვანია

გაიმართა ფარული კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:

დადებითი 8 ხმა

დაადგინეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს- სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს კომისიის მდივნად არჩეულ იქნა ხათუნა ბეჭვაცია

დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო მეორე საკითხი- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა მერის სათათბირო ორგანოს -სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარემ კახაბერ ფარცვანიამ. სხდომას საბჭოს წევრების გარდა ესწრებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი მიქენაიამ. მოხსენების დასაწყისში ისაუბრა მიზეზებზე, თუ რატომ არ მიეწოდათ საბჭოს წევრებს ბიუჯეტის პროექტი ადრე. ამის შემდეგ კი საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებზე. ესენია: მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა; სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; კულტურა და სპორტის ხელშეწყობა. ნანი მიქენაიამ ილაპარაკა 2018 წლისთვის დაგეგმილ ბიუჯეტის კანონპროექტზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაგეგმილი არის 35 მილიონ 100 ათასი ლარით. დაწვრილებით ისაუბრა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით დაახლოებით რამდენის დამატება იგეგმება. ისაუბრა ყველა პროგრამაზე, რომლის დაფინანსებაც იგეგმება მომავალი წელს, ისაუბრა იმაზეც, თუ რამდენია თითოეული პროგრამის დაფინანსებისთვის დაგეგმილი. ნანი მიქენაიამ ილაპარაკა მერიის წარმომადგელობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულთა რაოდენობაზე და მათი შრომის ანაზღაურებაზე. აგრეთვე ისაუბრა თუ რამდენით არის დაგეგმილი ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი. ისაუბრა თუ რა შემოსავლებს ელოდებიან მომავალ წელს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვას: კახაბერ ფარცვანიამ, მაია ჩემიამ, ნანა ხუფაცარიამ, ხათუნა ბეჭვაციამ

კახაბერ ფარცვანიამ შეკითხვა დაუსვა საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილეს სახელოვნებო სკოლებთან დაკავშირებით, იგეგმა თუ სახელოვნებო სკოლის პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა. კახა ფარცვანიამ აგრეთვე კითხვა დასვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამასთან დაკავშირებით და ისაუბრა იმაზეც რომ თანხა ცოტაა ამ პროგრამისთვის დაგეგმილი.

ხათუნა ბეჭვაციამ კითხვა დასვა სკოლამდელი დაწესებულებისთვის ახალი რეგულაციები იგეგმა. მომავალი წლიდან ქვეყანაში და ეს არის თუ არა გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმის დროს.

კითხვები დაისვა რელიგიის ხელშეწყობის პროგრამასთან დაკავშირებითაც. რა იგეგმება ამ პროგრამით. საჯარო სკოლების დაფინანსებასთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საბიბლიოთეკო გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით, განმუხურის ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამასთან დაკავშირებით.

საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილემ მურთაზ ბოკუჩავამ და ნანი მიქენაიამ უპასუხეს საბჭოს წევრებს დასმულ კითხვებზე. მურთაზ ბოკუჩავამ ილაპარაკა იმაზე, რომ ფორს მაჟორულ სიტუაციაში უწევთ მუშაობა, სასურველი იყო საბჭოს წევრებს წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტი უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მუნიციპალიტეტის გაერთიანების გამო სამსახურების ჩამოყალიბება ხდებოდა, ამიტომაც დაგვიანდა კანონპროექტის მომზადება. კახაბერ ფარცვანიამ განაცხადა რომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურსს მიაწვდიდა, მერის სათათბირო ორგანოს -სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე



/კ.ფარცვანია/

სხდომის მდივანი



/ნ. ბეჭვანია/